

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ლაქტალის ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ახსნა განმარტებით შენიშვნებს. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე გამოყენებულ საადრიცხო მიდგომებს, მენეჯმენტის პასუხისმგებლობას მის მომზადებასა და წარდგენაზე აუდიტორის პასუხისმგებლობას და გამოთქმულ მომზადებასწარდმოგინ ფინანსურ ანგარიშგებაზე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
ძირითადი საქმიანობა	9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	9
ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	9
ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	10
რისკის მართვა	19
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
სასამართლო დავები	21
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	21
მმართველობითი ანგარიშგება	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ლაქტალის ჯორჯია-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-317228)

22 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს ლაქტალის ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	3	115,288	108,696	147,198
არამატერიალური აქტივები	3	22,760	18,068	15,309
სულ გრძელვადიან აქტივები		138,048	126,764	162,507
მიმდინარე აქტივები				
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		10,572	12,286	14,739
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	3,505,421	1,725,620	3,453,735
გადახდილი ავანსები		44,570	-	486
სავაჭრო მოთხოვნები	5	3,809,729	6,068,952	7,425,658
ფული და ფულის ექვივალენტები	6	3,121,434	2,498,326	6,678,216
სულ მიმდინარე აქტივები		10,491,726	10,305,184	17,572,834
სულ აქტივები		10,629,774	10,431,948	17,735,341
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		958,710	958,710	958,710
გაუნაწილებელი მოგება		2,782,698	6,560,530	10,567,697
სულ კაპიტალი		3,741,408	7,519,240	11,526,407
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	3,436,206	1,937,340	5,997,825
გადასახდელი ხელფასები		425,201	757,591	162,531
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		3,000,000	-	-
გადასახდელი პროცენტები		26,959	-	-
საგადასახადო ვალდებულება		-	217,777	48,578
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,888,366	2,912,708	6,208,934
სულ ვალდებულებები		6,888,366	2,912,708	6,208,934
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,629,774	10,431,948	17,735,341

გენერალური დირექტორი

22 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს ლაქტალის ჯორჯია
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2018	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	28,134,002	33,253,148
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(17,608,023)	(22,942,315)
მთლიანი მოგება		10,525,979	10,310,833
მიწოდების ხარჯი	9	(4,536,597)	(5,203,419)
საოპერაციო ხარჯები	10	(518,999)	(178,748)
ხელფასის ხარჯი	10	(638,683)	(894,111)
საოპერაციო მოგება		4,831,700	4,034,555
არასაოპერაციო შემოსავალი		1,551,959	329,933
არასაოპერაციო ზარალი		(2,462,131)	(277,630)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		(1,521)	(19,062)
საპროცენტო ხარჯი		(115,903)	-
მოგება-ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(26,272)	(60,629)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(1,053,868)	(27,388)
მოგება დაბერგვამდე		3,777,832	4,007,167
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,777,832	4,007,167
სულ სრული შემოსავალი		3,777,832	4,007,167

გენერალური დირექტორი

22 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს ლაქტალის ჯორჯია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	958,710	2,782,698	3,741,408
გაუნაწილებელი მოგება	-	3,777,832	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	958,710	6,560,530	7,519,240
გაუნაწილებელი მოგება	-	4,007,167	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	958,710	10,567,697	11,526,407

გენერალური დირექტორი

22 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

შპს ლაქტალის ჯორჯია
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	12/31/2018	12/31/2019
წლის მოგება	3,777,832	4,007,167
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	17,373	16,363
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	3,795,205	4,023,530
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(2,259,223)	(1,356,706)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1,779,801	(1,728,115)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	44,570	(486)
ცვლილებები მოთხოვნებში პერსონალის მიმართ	(1,714)	(2,453)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	217,777	(169,199)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	(1,498,866)	4,070,485
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	332,390	(605,060)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,409,940	4,231,996
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში	(6,089)	(52,105)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,089)	(52,105)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხი ვალდებულებები	(3,026,959)	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,026,959)	-
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	-	-
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(623,108)	4,179,890
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	3,121,434	2,498,326
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	2,498,326	6,678,216

გენერალური დირექტორი

22 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ლაქტალის ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 2011 წლის 23 მაისს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404898973. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, სართული 4, ოფისი 24. კომპანიამ მისამართი შეიცვალა და მისი ამჟამინდელი მისამართია- თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი მე-10 კმ.

კომპანია ახორციელებს რძისა და რძის პროდუქტების, ბავშვთა კვების პროდუქტების დისტრიბუციას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ბელგიაში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება B.S.A. International.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე. როგორც ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაშია განხილული ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ მოველით გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.8677
ლარი/1 ევრო	3.0701	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ წაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ერთი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება რადგან ისინი ჩამოწერილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მზა პროდუქცია წარმოადგენს მალფუჭად პროდუქტს და მენეჯმენტს შემქნილი აქვს შესაბამისი რეზერვები, რომლითაც შემცირებულია პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ღირებულებები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის გადასახადებზე დეკლარაციების მომზადებას და წარდგენას კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულების მეთოდით, იმ დანახარჯებით რომელიც გაწეული იყო აქტივის შესაქმნელად და მის საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს მისაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი
- მანქანა დანადგარები - 12.5 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები - 6.67 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს თვითღირებულების ხარჯებს, რომელიც შედგება რეალიზებული საქონლის ღირებულებისგან.

პერიოდის მიწოდების ხარჯის არსებითი ნაწილი მოიცავს ამ პროდუქციის რეალიზაციაზე ხელფასის, საწვავის, იჯარის და სხვადასხვა კომერციულ მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები: ახალი სტანდარტები, რომლებიც 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენას არ ახდენს არის

- ფასს 16 - იჯარა;
 - ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები ;
 - შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით ;
 - შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები ასოცირებულ პირებსა და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი .
- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება;
 - ფასს 23 - მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვეველობა ;
 - ფასს 10 - ცალკეული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)

საანგარიშო პერიოდში ძალაში შესული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები გავლენას არ ახდენს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასსკ-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ კომპანიაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური კომპანიის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000	206,936	10,419	56,904	21,073	62,387	359,719
დამატება	2,400	-	2,380	9,616	11,418		
(შემცირება)	-	-	(1,886)	(2,173)	(1,046)	(15,000)	
სულ ისტორიული ღირებულება 31.12.2018	4,400	206,936	10,913	64,347	31,445	47,387	365,428
ცვეთის ხარჯი							
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	42	139,528	4,478	33,996	4,000	39,627	221,671
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	967	13,482	1,749	8,115	5,306	4,692	34,311
(ჩამოწერა)			(976)	(1,250)	(90)	(15,000)	(17,316)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 31.12.2018	1,009	153,010	5,251	40,861	9,216	29,319	238,666
ნარჩენი ღირებულება 31.12.2018	3,391	53,926	5,662	23,486	22,229	18,068	126,762
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,400	206,936	10,913	64,347	31,445	47,387	365,428
დამატება	3,836	59,604	3,679	17,281	9,849	-	94,249
(შემცირება)	-	(62,993)	-	-	-	-	(62,993)
სულ ისტორიული ღირებულება 31.12.2019	8,236	203,547	14,592	81,628	41,294	47,387	396,684
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,009	153,010	5,251	40,861	9,216	29,319	238,666
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,578	13,944	7,625	4,888	8,196	2,759	38,991
(ჩამოწერა)		(43,478)	-	-	-	-	(43,478)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 31.12.2019	2,587	123,477	12,876	45,749	17,412	32,078	234,179
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,649	80,070	1,715	35,879	23,882	15,309	162,505

შპს ლაქტალის ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	12/31/2018	12/31/2019
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,594,706	3,435,456
სხვა მასალები	130,914	18,279
სულ ნედლეული და მასალები	1,725,620	3,453,735

შენიშვნა 5 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2018	12/31/2019
სავაჭრო მოთხოვნები	6,825,799	7,550,087
მოთხოვნების რეზერვი	(756,847)	(124,429)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	6,068,952	7,425,658

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

მოთხოვნები	სავაჭრო მოთხოვნები - ვადაგადაცილებული დღეები			
	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	5,908,699	1%	(59,087)	5,849,612
0-30 დღის ვადაგადაცილება	1,491,016	5%	(74,551)	1,416,464.80
30-60 დღის ვადაგადაცილება	741,718	15%	(111,258)	630,459.89
60-90 დღის ვადაგადაცილება	105,110	25%	(26,278)	78,832.61
90-180 დღის ვადაგადაცილება	985,977	25%	(246,494)	739,483.02
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	100%	-	-
შემცირებული გაუფასურების რეზერვით			(517,667)	
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	9,232,520			8,714,853

შენიშვნა 6 -ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	12/31/2018	12/31/2019
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1,791,955	2,721,488
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	684,012	3,805,932
	2,475,967	6,527,420
ნაღდი ფული სალაროში	22,360	150,796
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	22,360	150,796
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	2,498,326	6,678,216

შენიშვნა 7 - სავაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2018	12/31/2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,937,340	6,007,825
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,937,340	6,007,825

შენიშვნა 8 -შემოსავალი რეალიზაციიდან

პერიოდის შემოსავლები მოიცავს ლაქტალისის ბრენდის პროდუქციის რეალიზაციას. ასევე საანგარიშო პერიოდში აგენტის ფუნქციით განხორციელებულია გაყიდვები, რომელიც არ წარმოადგენს მიმდინარე საანგარიშო პერიოდის შემოსავლებს და ხარჯებს, რის გამოც ისინი შესაბამისად არის ელიმინირებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანია ლაქტალისი 2019 წლის მაისიდან ახორციელებს კომპანია „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს საქონლის რეალიზაციას ქსელის შეთანხმებულ ობიექტებზე შესაბამისი ფასნამატის გარეშე. კომპანია სანტესგან შესყიდულ პროდუქციაზე არ ხდება საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკის, კონტროლის და სარგებლის გადმოცემა შემდგომი რეალიზაციისათვის. ვინაიდან ასეთი ტპის გაყიდვები არ აკმაყოფილებს შემოსავლად აღიარების კრიტერიუმებს ისინი ელიმინირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად.

	12/31/2018	12/31/2019
შემოსავალი საქონელის რეალიზაციიდან	30,134,435	35,180,557
რეალიზებული საქონელის უკან დაბრუნება	(2,017,485)	(1,928,255)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17,052	846
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	28,134,002	33,253,147

შენიშვნა 9 - მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯები მოიცავს საანგარიშო პერიოდში პროდუქციის რეალიზაციებზე გაწეულ პირდაპირ ხარჯებს

	12/31/2018	12/31/2019
შრომის ანაზღაურება	969,018	1,442,849
იჯარის ხარჯი	9,218	10,948
საწვავის ხარჯი	80,339	167,972
ავტომობილის-საექსპლუატაციო ხარჯი	12,967	12,125
ლოჯისტიკური მომსახურება	644,708	720,444
მარკეტინგის ხარჯი	2,611,988	2,409,842
ბრენდით სარგებლობის და წლიური საწევროები	67,794	277,217
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალების ცვეთა	17,373	16,363
სხვა მიწოდების ხარჯი	123,192	145,659
სულ მიწოდების ხარჯები	4,536,597	5,203,419

შენიშვნა 10 - საოპერაციო და სხვა ხარჯი

	12/31/2018	12/31/2019
შრომის ანაზღაურება (საერთო - ადმინისტრაციული)	638,683	422,551
საიჯარო ქირა	48,457	49,670
კომპიუტერის ხარჯი	10,487	4,135
კომუნიკაციის ხარჯი	22,940	17,123
საკანცელარიო ხარჯი	8,236	15,058
მივლინების ხარჯები (საერთო - ადმინისტრაციული)	52,983	20,220
საგადასახადო ხარჯები	73,620	20,010
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალების ცვეთა	16,938	20,970
საკონსულტაციო ხარჯები	219,341	411,543
სატრანსპორტო ხარჯი	1,002	
საწვავის ხარჯი	-	1,751
სხვა ძირ. საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი (გარდა შენობა-ნაგებობისა)	4,121	1,654
შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციო ხარჯები	4,308	11,529
წარმომადგენლობითი ხარჯი	33,404	50,552
საბანკო ხარჯები	5,102	4,511
სამეურნეო ხარჯი	5,932	17,875
სანოტარო მომსახურება	3,143	1,379
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯი	8,985	2,326
სულ საოპერაციო და სხვა საოპერაციო ხარჯები	1,157,682	1,072,859

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცდილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქონდა რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან კრედიტორულ ვალდებულებებს, რომლებთანაც მენეჯმენტის გააჩნია სხვადასხვა ვადიანობის კონსიგნაციის პირობები მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის წარმოქმნილი ერთ წელზე მეტი ვადით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია მიღებული საქონლის და მომსახურების შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2019 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკუთროს სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის სავალუტო სახსრების არსებითი ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ სასესხო ვალდებულებებს და სავალუტო რისკები გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანიას ეზრდება ვალდებულებები და მასთან ერთად ლიკვიდურობის რისკებიც.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

	31 დეკემბერი 2019		
	GEL	USD 1 = 2.8766 GEL	EUR 1 = 3.2095 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	6,678,216	120,475	3,685,457
სავაჭრო მოთხოვნები	9,547,659	-	-
სულ ფინანსური აქტივები	16,225,875	120,475	3,685,457
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,042,688	185,707	5,224,738
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,042,688	185,707	5,224,738

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

	მესყიდული მომსახურება/საქონელი GEL	გადახდილი ფულადი სახსრები GEL
AK GIDA SANAYI TIC. A.S. (0330)	875,886	764,414
L.R.D. (0204)	110,975	93,772
LACTALIS INFORMATIQUE	22,902	613
LDA MARKETING	7,258	653
LACTALIS MK(PARMALAT	720,333	173,130
ლაქტალის ვოსტოკ	1,791,321	1,582,873
ლაქტალის ინტერნაციონალი	16,848,873	13,826,464
ლაქტალის უკრაინა	2,051,541	1,886,702

საანგარიშო პერიოდში მმართველი დირექტორის მიერ გამომუშავებული ანაზღაურება შეადგენდა 59, 880 ლარს.

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და მის შემდგომ არ არის იდენტიფიცირებული ისეთი ტიპის სასამართლო დავები რომელიც არსებით გავლენას იქნობიეს წარდგენილ წინანსურ ანგარიშგებაში. დავების არსებითი ნაწილი მოიცავს მიწოდების შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებზე აღძრულ სასამართლო დავებს, რომელიც არა არსებითი ღირებულებისაა და რომლის შედეგებიც ასახულია წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში გავრცელდა ახალი კორონავირუსი Covid19, რომლის გამოც დაწესდა არა ერთი შეზღუდვა ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებით. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და ეკონომიკურმა შეზღუდვებმა არსებითი გავლენა იქონია არა ერთ ბიზნეს სექტორზე. ვინაიდან კომპანია ახორციელებს საკვები პროდუქციის იმპორტს და რეალიზაციას, შესაძლებელია პროცესშიც ნებადართული ჰქონდა ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელება. ამიტომ პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე და ბალანსის შემდგომი პერიოდის გაყიდვებზე არსებითი არ ყოფილა.

მმართველობითი ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

საწარმოს დაარსების ისტორია:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“, როგორც სადისტრიბუციო ორგანიზაცია, შეიქმნა და დაიწყო თავისი ბიზნესი საქმიანობა 2011 წელს მაისში. კომპანიის საქმიანობა მოიცავს პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას საქართველოს ბაზარზე. დღეისთვის „ლაქტალის ჯორჯია“-ს აქვს შექმნილი საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი, სადაც პირდაპირი გაყიდვების გზით ხდება მზა პროდუქციის განაწილება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ლაქტალის ჯგუფის მიმოხილვა

„ლაქტალის ჯგუფის“ დაარსება დათარიღებულია 1933 წელს, როდესაც ანდრე ბენიემ შექმნა საკუთარი კომპანია, Societe Laitiere de Laval A.Besnier et Cie, ლავალში, საფრანგეთში.

„ლაქტალის ჯგუფი“ არის ლიდერი რძის პროდუქტების კატეგორიაში, რეიტინგით მესამე უდიდესი რძის შემგროვებელი და მსოფლიო ლიდერი ყველის ბაზარზე. „ლაქტალის ჯგუფი“ არის მეთხუთმეტე უდიდესი აგროსასურსათო ჯგუფი მსოფლიოში, ხოლო ევროპაში მესამე ადგილი უჭირავს.

„ლაქტალის ჯგუფი“ მოიცავს ტერიტორიებს მსოფლიოს მასშტაბით, კერძოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს და აზიას. ლაქტალის ჯგუფს აქვს 192 მწარმოებელი ქარხანა და 33 კომერციული ოფისი საფრანგეთსა და სხვა დანარჩენ მსოფლიოს ქვეყნებში. ლაქტალის ჯგუფში დასაქმებულია 70,000 მეტი ადამიანი, მათ შორის 45,000 საფრანგეთის ფარგლების გარეთ და ეს რიცხვები ყოველწლიურად იზრდება. ლაქტალის ჯგუფი სპეციალიზირებულია შემდეგ კატეგორიებში:


- ყველი
- ნატურალური რძე
- შეციებული რძის პროდუქტები
- კარაქი და ნაღები
- საკვები (საბავშვო, სამკურნალო და სპორტული)
- კვების სერვისი
- რძის ინგრედიენტები
- გამოყვანილი ხორცი
- წვენი და ხილზე დამზადებული საკვები

საწარმოს სამართლებრივი სტატუსი და დამფუძნებლები:

შემდეგ სქემაზე ასახულია შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს სამართლებრივი ფორმის სტრუქტურა.



ორგანიზაციული სტრუქტურა:



აღმასრულებელი მენეჯერები, რომლებიც მონაწილეობენ დირექტორებთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში:

მარკეტინგის მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, შესყიდვების და დაგეგმარების მენეჯერი

საწარმოს მისია და საქმიანობის მიზანი:

„ლაქტალის ჯორჯიას“ სტრატეგიული მიზანია „ლაქტალის ჯგუფის“ პროდუქციის წილის გაზრდა საქართველოს ბაზარზე.

საქმიანობის სახეები, ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტები:

საქართველოს რძის პროდუქტების ბაზარს ძირითადად შეადგენს: სასმელი რძე, ყველი, იოგურტი, რძემაჟე პროდუქტები და სხვა რძის ნაწარმი, მათ შორის ხაჭო, ნაღები, შეციებული საკვები, შედედებული რძე.

კონკურენტების მიმოხილვა

საქართველოს ბაზარზე რძე, სხვა რძის პროდუქტები, და ბევრ შემთხვევაში ყველის პროდუქტები საკმაოდ კონკურენტუნარიანია. პროდუქციის ფასზე ძირითადად მოვლენას ახდენს საბაზრო ფაქტორები. მათ შორის ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი არის კონკურენტების ფასების სტრატეგია,

ძირითადი მოთამაშეები საქართველოს რძის ბაზარზე 2018 წელს იყო Sante GMT, სოფლის ნობათი და Milko ლოკალური ბრენდებიდან ხოლო იმპორტირებული VALIO, Danone.

ლაქტალისის ბრენდებისთვის მთავარ კონკურენტებად საქართველოს ბაზარზე მოიაზრებიან: კარაქისა და მდნარი ყველის კატეგორიაში ვალიო, ხოლო სხვა კატეგორიებში როგორიცაა ხაჭო, არაჟანი კონკურენტია 2018 წლიდან გვიწევს დანონი ბრენდი პროსტაკვაშინოთი.

2017 წელს რძის გაყიდვაში ლიდერობდა ქართული კომპანია Sante GMT ქართულ ბაზარზე 1997 წლიდან არის წარმოდგენილი და დღეისათვის 130-მდე დასახელების პროდუქტს აწარმოებს. 2016 წელს ფრანგული კომპანია „ლაქტალისი“ კომპანია „სანტეს“ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა. კომპანიას ეკუთვნის ოთხი ბრენდი, მათ შორის Santissimo, რომელიც სთავაზობს მაღალი ხარისხის რძის ნაწარმს და წარმოადგენს პრემიუმ

ბრენდს. Sante სარგებლობს მაღალი დონის ცნობადობით ხანგრძლივი ყოფნით ადგილობრივ ბაზარზე და ახორციელებს პროდუქტის რეგულარულ ტექნიკურ ტესტებს და შემოწმებებს, რომ შეინარჩუნოს თავისი მომხმარებლების ნდობა.

ფინური კომპანია Valio ერთ ერთი ლიდერია ყველის გაყიდვის საქართველოს ბაზარზე. კომპანიის წარმატება არის მიღწეული Valio Gouda და Viola-ს ბრენდების პოპულარობით. ამის გარდა, კომპანია სარგებლობს მაღალი ხარისხის მქონე ბრენდის სახელით და ადგილობრივი მომხმარებლის ნდობით, რადგანაც ის ქართულ ბაზარს მრავალი წლის მანძილზე და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციით.

ადგილობრივი მწარმოებელი Milko Food ახორციელებს რძემყავე პროდუქტების გაყიდვებს. ეს კომპანია (ადრე ცნობილი, ეკო ფუდი) დიდხანს იმყოფება ბაზარზე და სარგებლობს ბრენდის მაღალი ცნობადობით და განსაკუთრებით ძლიერია რძემყავე პროდუქციაში. კომპანიას აქვს კარგი სადისტრიბუციო ქსელები და მათი პროდუქცია არის ხელმისაწვდომი საცალო გაყიდვებში.

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „სოფლის ნობათი“ 2008 წელს შემოვიდა ქართულ ბაზარზე და დღემდე რძის პროდუქტების სფეროში ოპერირებს. სოფლის ნობათი 2010 წელს შეუერთდა კორპორაცია PepsiCo-ს ჯგუფს, შესაბამისად კომპანიაში დანერგილია უმაღლესი სტანდარტები, რომლებიც მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქტის უწყვეტად მიწოდებას უზრუნველყოფს. დღეს სოფლის ნობათი სამი მიმართულებით აწარმოებს რძის პროდუქტებს: სოფლის ნობათი, სოფლის ნობათი რჩეული და სოფლის ნობათი საბავშვო (პირველი ქართული ლიცენზირებული საბავშვო საკვები). პროდუქციის სამივე ხაზი არის უნიკალური და ამავდროულად ჯანსაღი და სასარგებლო.

სხვა რძის ნაწარმის გაყიდვებში (ძირითადად ნაღები, ხაჭო და ნადუდი) ლიდერობდა კომპანია Sante GMT, რომელსაც მოსდევს Milko საკვები. ლიდერ კომპანიას აქვს მაღალი დონის ბრენდი საქართველოში და სთავაზობს მომხმარებელს ფართო არჩევანს რძის პროდუქციაში. ორივე კომპანია ძლიერია იმ კატეგორიებში: ნაღები, ნადუდი და ხაჭო.

ბავშვთა კვების გაყიდვებში ლიდერობს Nestlé თავისი ბრენდებით Nan, Nestlé და Nestogen. Hipp GmbH & Co Vertrieb KG მოჰყვამის ბრენდს Hipp-ს. ორივე კომპანია გთავაზობთ ძლიერი იმიჯის ბრენდებს, მაღალი ცნობადობით და სარეკლამო მხარდაჭერით, როგორცაა ტელევიზია, რადიო, გარე რეკლამა და ტრანსპორტის მეშვეობით, რეალიზაციის წერტილები და ა.შ. დისტრიბუცია მოიცავს მთელ საქართველოს ტერიტორიას. ბავშვთა კვება არის ძალიან მგრძნობიარე პროდუქტი მომხმარებელთა შორის, ასე რომ, ისინი ძირითადად ყიდულობენ პროდუქტს რომელსაც აქვს დიდი ხნის გამოცდილება.

2016 წელს ლაქტალისმა საქართველოში შეიძინა კომპანია სანტეს მართველობითი პაკეტი რის შემდეგაც საქართველოს ბაზარზე ლაქტალისი და სანტე ოპერირებენ როგორც პარტნიორი კომპანიები.

2019 წლიდან ლაქტალის ჯორჯიამ დაიწყო საქართველოში იტალიური ბრენდი პარმალატის შემოტანა, რომელიც დღესდღეობით იკრებს ფეხს ნაღებისა და რძის ბაზარზე, როგორც უმაღლესი ხარისხის იტალიური ნაწარმი.

ინფორმაცია შვილობილი და მეკავშირე საწარმოების შესახებ:

კომპანია ლაქტალის არ ჰყავს შვილობილი საწარმო არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ, ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ მეკავშირე საწარმოებთან რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია როგორც პერიოდის დაკავშირებული მხარეები და მოიცავს აღნიშნულ კომპანიებს:

კონტრაგენტი	ქვეყანა
Lactalis International	France
Lactalis Ukraine	Ukraine
Lactalis Vostok	Russia
Fabrica de Brinzeturi Din Soroca	Moldova
Lactalis Caspi	Azerbaijan
Sante GMT Products	Georgia
Akgida	Turkey
LDA	France
LRD	France
Lactalis Informatics	France

ფილიალების აღწერა და მდებარეობა:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს აქვს ორი ფილიალი, თბილისის ფილიალი - მდებარე კახეთის გზატ. მე-10 კმ და ბათუმის ფილიალი - მდებარე ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. 3.
ბათუმის ფილიალი მოქმედებს 2013 წლიდან.

არსებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ:

2017 წელს კომპანიას ჰქონდა აღებული 1 წლიანი წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობა #19-03/236, 07/02/2017-06/02/2018

ბრენდების რეპუტაციისა და სიძლიერის შესახებ:

ლაქტალის ჯგუფს ეკუთვნის რამდენიმე ცნობილი ბრენდი საფრანგეთში და მსოფლიოში. ლაქტალის ჯგუფის ბრენდებიდან განსაკუთრებით გამოკვეთილია რესიდენტ.

რესიდენტ-ი არის ფრანგული წარმოშობის საერთაშორისო ბრენდი რომელსაც უჭირავს უმაღლესი ხარისხის ღირებულება.

რესიდენტ-ის ასორტიმენტი უმეტესად მოიცავს რძის პროდუქტებს, მათ შორის: ნატურალურ რძეს, ნაღებს, კარაქს, რბილი ყველს, ხაჭოს, არაჟანს მაგარ და მდნარ ყველს.

ბრენდი რესიდენტ-ის რომელიც მუდმივად უმაღლესი ხარისხის პროდუქტს აწარმოებს და ინოვაციური ბრენდი განაწილებულია მსოფლიოს თითქმის 150 ქვეყანაში. ბრენდის ბრუნვამ გადააჭარბა 1 მილიარდ ევროს 2004 წელს.

უმეტესად საერთაშორისო ცნობილი ბრენდები:

Galbani არის ძალიან ცნობილი იტალიური ბრენდი ევროპაში ახალი იტალიური ყველის სრული ასორტიმენტით, როგორცაა მოცარელა, რიკოტა, მასკარპონე,... ის ცნობილია იტალიაში ასეთი სახელით: „Galbani ნიშნავს ნდობას“. იტალიის ბაზარზე ლიდერი Galbani-ს პროდუქტები მრავლად არის წარმოდგენილი ევროპაში, აგრეთვე იაპონიაში, კანადაში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

Parmalat - ლაქტალის გახდა მსოფლიოში №1 რძის ბაზარზე, მას შემდეგ რაც შეიძინა Parmalat-ის 83.3%, რძის პროდუქტების ლიდერი იტალიაში.

Parmalat - ის პროდუქტების კალათა შევსებულია ყველის, რძის, იოგურტის, არომატიზირებული კარაქის, მოხარშული კრემის, ნაღების და ხილის წვენებით.

სხვა მნიშვნელოვანი ლაქტალის ბრენდები არიან Societe, lactel, Bridel, Dukat, Invernizzi, Locatelli, Cademartori, Celia, Picot.


„ლაქტალის ჯგუფის“ მიზანია გააერთიანოს ინოვაციები ტრადიციებთან. ჯგუფი აწარმოებს 36 დასახელების ყველს, რომლის სახელი დაცულია საფრანგეთში და სხვა ევროპის ქვეყნებში.

ამჟამად საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ შემდეგი ბრენდები: **President; Galbani; Lactel; Celia; Dolce; Icim; Seriously strong; Lactonia**


აიტი-ტექნოლოგიების დანერგვის ხარისხის შესახებ:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“ ბუღალტრული ინფორმაციის დასამუშავებლად იყენებს საბუღალტრო პროგრამას 1C 8.2 საწარმო.

ამონაგების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



წმინდა მოგების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



წმინდა მოგების პროცენტი ამონაგებიდან 2018 წლისთვის 11.8 %.და 2019 წლისთვის 8.4 %.

საკადრო პოლიტიკის ძირითადი მომენტები და თანამშრომლებზე ზრუნვა/წახალისების პოლიტიკა, დაწესებული სოციალური შეღავათები:

გარდა ხელფასისა შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს თანამშრომლები სარგებლობენ შემდეგი ბენეფიტებით: დაზღვევა, პროფესიონალური ტრეინინგების დაფინანსება ერთხელ წელიწადში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სატელეფონო სასაუბრო ლიმიტი

საწარმოს მომწოდებლების შესახებ:

კომპანიის ძირითადი მომწოდებლები ჯგუფის ქარხნებია - საფრანგეთში, იტალიაში, უკრაინაში, რუსეთში, თურქეთში და ა.შ.

საწარმოს მომხმარებლების შესახებ:

კომპანია მუშაობს პირდაპირი გაყიდვების გზით, აქედან გამომდინარე კლიენტების სიაში შედის მაღაზიები, სასტუმროები, ბარები, რესტორნები, საბითუმო გამყიდველები მთელ საქართველოს ტერიტორიაზე.

საწარმოს შემდგომი განვითარების გეგმები:

„ლაქტალის ჯორჯიას“ სამომავლო განვითარებისათვის დაგეგმილია გლობალურად წარმოებული პროდუქტების წილის ზრდა ქართულ ბაზარზე. ასევე ახალი კატეგორიების გახსნა, ათვისება და მათი განვითარება.

საბაზრო რისკები:

რისკები რამაც გავლენა შეიძლება იქონიოს კომპანიის განვითარებაზე არის, როგორც მსოფლიო მასშტაბის ასევე ლოკალური პრობლემები: მაღალი ინფლაცია რძის ბაზარზე, გლობალური ქარხნების დახურვა/გაყიდვა, პორტუგელში არსებული პროდუქტების (ბრენდების) წარმოების მოულოდნელი შეწყვეტა, ბუნებრივი სტიქიები, ნეგატიური ცვლილებები ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქტთან მიმართებაში, ქვეყნის მასშტაბით საცალო სავაჭრო ქსელების სტრუქტურაში ძირითადი ცვლილება რაც გამოიწვევს შეზღუდვების დაწესებას.

სავალუტო რისკები


კომპანიას აქვს დიდი სავალუტო რისკი, რადგან ძირითადი მომწოდებლები არარეზიდენტებია და ანგარიშსწორება ხდება ევროში ან აშშ დოლარში. ყოველთვიურად ნაციონალური ვალუტის ცვლილების გამო კომპანიას აქვს ზარალი გადაფასების გამო.

	სავალუტო რისკი		
	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
EUR			
აქტივები	615,262	191,654	1,148,296
ვალდებულებები	899,762	402,508	1,627,898
რისკი	284,500	210,855	479,601
USD			
აქტივები	18,604	35,293	42,011
ვალდებულებები	27,094	27,190	64,758
რისკი	8,489	(8,103)	22,747

საგადასახადო რისკები:

კომპანიას საგადასახადო რისკები არა აქვს.

ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



2017 წელს ბიუჯეტში გადახდილი თანხა შეადგენს 4 729 531 ლარს და 2018 წელს - 6 084 834 ლარს.

მნიშვნელოვანი მოვლენები:

2019 წლის 1 იანვრიდან ერეკლე გამყრელიძე დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2019 წლის 11 აპრილიდან გენერალურ დირექტორად.

2020 წელს COVID19-მა ზეგავლენა მოახდინა კომპანიის მიმდინარე პროცესებზე. მიუხედავად რიგი შეზღუდვებისა კომპანიას არ შეუწყვეტია სამუშაო პროცესი და არ შეუმცირებია დასაქმებული თანამშრომლები. კომპანიაზე ნეგატიური ეფექტი იქონია ჰორეკას მიმართულებით გაყიდვების ვარდნამ, ვინაიდან ჰორეკა შეადგენს გაყიდვების 25-30%, მარტი-ივლისის პერიოდში შეიმჩნევა გაყიდვების 70% -ით ვარდნა, კომპანიის მოლოდინია სექტემბრის თვიდან ისევ ზრდა, თუმცა ვერ მიუახლოვდება სამიზნე მაჩვენებელს. COVID19-მა ასევე უარყოფითი ეფექტი იქონია ტურისტულ სეზონზე, გასულ წელსთან შედარებით ივლისი-აგვისტოს პერიოდში მოსალოდნელია გაყიდვების 10-15%-ით შემცირება.

გაყიდვების შემცირებას თან მოჰყვა მზა პროდუქციის ჭარბი მარაგის წარმოქმნა, კომპანიამ მიიღო მყისიერი გადაწყვეტილებები და პროდუქციის ნაწილის რეალიზაცია მოხერხდა საფასო პოლიტიკის გადახედვის ხარჯზე, მიუხედავად ამისა, მაინც მოუწია გარკვეული რაოდენობის ვადაგასული პროდუქციის ჩამოწერა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რის წინაშეც დგას კომპანია არის დებიტორული დავალიანებების ზრდა, რაც დაკავშირებულია ჰორეკას ქსელთან, როდესაც სასტუმროებს და სხვადასხვა კვების ობიექტებს შეუჩერდათ მუშაობა და შეექმნათ ფინანსური პრობლემები, შედეგად გაუარესდა მათი გადამხდელუნარიანობა.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ არსებითი ზიანი მიაყენა კომპანიას, პროდუქციის უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული შესაბამისად ანგარიშწორება ხდება უცხოურ ვალუტაში.

გენერალური დირექტორი

22 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-317228)

22 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო




შპს ლაქტალის ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	3	115,288	108,696	147,198
არამატერიალური აქტივები	3	22,760	18,068	15,309
სულ გრძელვადიან აქტივები		138,048	126,764	162,507
მიმდინარე აქტივები				
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		10,572	12,286	14,739
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	3,505,421	1,725,620	3,453,735
გადახდილი ავანსები		44,570	-	486
სავაჭრო მოთხოვნები	5	3,809,729	6,068,952	7,425,658
ფული და ფულის ექვივალენტები	6	3,121,434	2,498,326	6,678,216
სულ მიმდინარე აქტივები		10,491,726	10,305,184	17,572,834
სულ აქტივები		10,629,774	10,431,948	17,735,341
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		958,710	958,710	958,710
გაუნაწილებელი მოგება		2,782,698	6,560,530	10,567,697
სულ კაპიტალი		3,741,408	7,519,240	11,526,407
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	3,436,206	1,937,340	5,997,825
გადასახდელი ხელფასები		425,201	757,591	162,531
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		3,000,000	-	-
გადასახდელი პროცენტები		26,959	-	-
საგადასახადო ვალდებულება		-	217,777	48,578
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,888,366	2,912,708	6,208,934
სულ ვალდებულებები		6,888,366	2,912,708	6,208,934
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,629,774	10,431,948	17,735,341

გენერალური დირექტორი

22 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო



შპს ლაქტალის ჯორჯია
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2018	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	28,134,002	33,253,148
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(17,608,023)	(22,942,315)
მთლიანი მოგება		10,525,979	10,310,833
მიწოდების ხარჯი	9	(4,536,597)	(5,203,419)
საოპერაციო ხარჯები	10	(518,999)	(178,748)
ხელფასის ხარჯი	10	(638,683)	(894,111)
საოპერაციო მოგება		4,831,700	4,034,555
არასაოპერაციო შემოსავალი		1,551,959	329,933
არასაოპერაციო ზარალი		(2,462,131)	(277,630)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		(1,521)	(19,062)
საპროცენტო ხარჯი		(115,903)	-
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(26,272)	(60,629)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(1,053,868)	(27,388)
მოგება დაბერგვრამდე		3,777,832	4,007,167
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,777,832	4,007,167
სულ სრული შემოსავალი		3,777,832	4,007,167

გ. გ. გ. გ.
 გენერალური დირექტორი

22 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო



შპს ლაქტალის ჯორჯია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	958,710	2,782,698	3,741,408
გაუნაწილებელი მოგება	-	3,777,832	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	958,710	6,560,530	7,519,240
გაუნაწილებელი მოგება	-	4,007,167	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	958,710	10,567,697	11,526,407


 გენერალური დირექტორი
 22 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო



შპს ლაქტალის ჯორჯია
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	12/31/2018	12/31/2019
წლის მოგება	3,777,832	4,007,167
კორექტირება:		
ცვთის ხარჯი	17,373	16,363
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	3,795,205	4,023,530
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(2,259,223)	(1,356,706)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1,779,801	(1,728,115)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	44,570	(486)
ცვლილებები მოთხოვნებში პერსონალის მიმართ	(1,714)	(2,453)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	217,777	(169,199)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	(1,498,866)	4,070,485
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	332,390	(605,060)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,409,940	4,231,996
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში	(6,089)	(52,105)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,089)	(52,105)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხი ვალდებულებები	(3,026,959)	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,026,959)	-
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	-	-
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(623,108)	4,179,890
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	3,121,434	2,498,326
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	2,498,326	6,678,216

გენერალური დირექტორი

22 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო



მნიშვნელოვანი მოვლენები:


2019 წლის 1 იანვრიდან ერეკლე გამყრელიძე დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2019 წლის 11 აპრილიდან გენერალურ დირექტორად.

2020 წელს COVID19-მა ზეგავლენა მოახდინა კომპანიის მიმდინარე პროცესებზე. მიუხედავად რიგი შეზღუდვებისა კომპანიას არ შეუწყვეტია სამუშაო პროცესი და არ შეუმცირებია დასაქმებული თანამშრომლები. კომპანიაზე ნეგატიური ეფექტი იქონია ჰორეკას მიმართულებით გაყიდვების ვარდნამ, ვინაიდან ჰორეკა შეადგენს გაყიდვების 25-30%, მარტი-ივლისის პერიოდში შეიმჩნევა გაყიდვების 70% -ით ვარდნა, კომპანიის მოლოდინია სექტემბრის თვიდან ისევ ზრდა, თუმცა ვერ მიუახლოვდება სამიზნე მაჩვენებელს. COVID19-მა ასევე უარყოფითი ეფექტი იქონია ტურისტულ სეზონზე, გასულ წელსთან შედარებით ივლისი-აგვისტოს პერიოდში მოსალოდნელია გაყიდვების 10-15%-ით შემცირება.

გაყიდვების შემცირებას თან მოჰყვა მზა პროდუქციის ჭარბი მარაგის წარმოქმნა, კომპანიამ მიიღო მყისიერი გადაწყვეტილებები და პროდუქციის ნაწილის რეალიზაცია მოხერხდა საფასო პოლიტიკის გადახედვის ხარჯზე, მიუხედავად ამისა, მაინც მოუწია გარკვეული რაოდენობის ვადაგასული პროდუქციის ჩამოწერა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რის წინაშეც დგას კომპანია არის დებიტორული დავალიანებების ზრდა, რაც დაკავშირებულია ჰორეკას ქსელთან, როდესაც სასტუმროებს და სხვადასხვა კვების ობიექტებს შეუჩერდათ მუშაობა და შეექმნათ ფინანსური პრობლემები, შედეგად გაუარესდა მათი გადამხდელუნარიანობა.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ არსებითი ზიანი მიაყენა კომპანიას, პროდუქციის უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული შესაბამისად ანგარიშწორება ხდება უცხოურ ვალუტაში.


გენერალური დირექტორი
22 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

